პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტი

(სხედან) მედიცინის დოქტორი, ლალი ბექაური - მოწვეული მასწავლებელი; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი - ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
მედიცინის დოქტორი, თამარ სალაძე - მოწვეული მასწავლებელი;
მედეა ბითაძე - მოწვეული მასწავლებელი;
მანანა ხელაია - პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ლაბორანტი;

(დგანან) მედიცინისმეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ბურკაძე -
მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ომარ ხარძეიშვილი - პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზაზა თოფურია - პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ასოცირებულიპროფესორი; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ ჩიხლაძე -
პათოლოგიის მიმართულების და პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხე ლმძღვანელი;
მედიცინის მეცნიერებათადოქტორი, პროფესორი ბესიკ კოჭლამაზაშვილი -
პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

მ.მ.დ., პროფესორი რამაზ ჩიხლაძე - პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

მ.მ.დ., პროფესორი ომარ ხარძეიშვილი - პათოლოგიური ანატომიის ასოცირებული პროფესორი.

მ.მ.დ., პროფესორი ზაზა თოფურია - პათოლოგიური ანატომიის ასოცირებული პროფესორი.

მ.მ.დ., პროფესორი ბესიკ კოჭლამაზაშვილი - პათოლოგიური ანატომიის ასოცირებული პროფესორი.

მ.მ.დ., პროფესორი გიორგი დიდავა - პათოლოგიური ანატომიის ასისტენტ-პროფესორი.

1920 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე დაარსდა პათოლოგიური ანატომიის კურსი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ პროფესორი გრიგოლ მუხაძე (1920წ.), პროფესორი ივანე შიროკოგოროვი (1921 წ.) და პროფესორი ბორის ღოღობერიძე (1921-1922წწ.). 1922 წელს ხსენებული კურსი გადაკეთდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრად, რომელიც 1930 წელს, როდესაც სამედიცინო ფაკულტეტი გამოეყო თბილისის სახელმწოფო უნივერსიტეტს დამოუკიდებელი ინსტიტუტის სახით, ტრანსფორმირდა თბილისის სახემწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრად. პათოლოგიური ანატომიის კათედრას 50 წლის მანძილზე (1922-1972წწ.) ხელმძღვანელობდა ქართული მედიცინის თვალსაჩინო წრმომადგენელი აკადემიკოსი ვლადიმერ ჟღენტი.

ვლადიმერ ჟღენტი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მისი ხელმძღვანელობით კათედრის ძირითადი კვლევები მიეძღვნა ონკომორფოლოგიის საკითხებს, ინფექციური, გულ-სისხლმილთა და ნერვული სისტემის ავადმყოფობების პათოლოგიური

ანატომიის შესწავლას. სექციური და ოპერაციული მასალის ანალიზის საფუძველზე ვლ. ჟღენტმა დაადგინა ცალკეული ავადმყოფობების გავრცელების თავისებურებანი საქართველოში. მის მიერ შექმნილია პათოლოგიური

ანატომიის ორიგინალური სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე. ვლ. ჟღენტს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის დამუშავების საქმეში.

ვლადიმერ ჟღენტის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით გაიხსნა სასამართლო მედიცინის კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პათოლოგიური ანატომიის კათედრები ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში (1935წ.), საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტში (1934 წ.) და თბილისის სახელმწიფო სტომატოლოგიურ ინსტიტუტში (1937წ.). ვლ. ჟღენტი იყო საქართველოს პათოლოგოანატომთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის საპატიო წევრი, სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიისა და სარედაქციო საბჭოს წევრი.

აკადემიკოსმა ვლადიმერ ჟღენტმა თავისი, პირველი თაობის, მოწაფეებთან აკადემიკოს ირაკლი ტატიშვილთან და მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწე, პროფესორ არკადი ჯორბენაძესთან ერთად პათოლოგიური ანატომიის კათედრა აქციეს ქართული სამედიცინო მეცნიერების ჭეშმარიტ სამჭედლოდ.

1972-1973წწ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის გამგის მოვალეობას ასრულებდა აკადემიკოსი ირაკლი ტატიშვილი.

ირაკლი ტატიშვილი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რომელმაც მთელი მისი ხანგრძლივი და უაღრესად ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული, საექიმო მოღვაწეობა მიუძღვნა პათოლოგიური ანატომიის კათედრას. იგი იყო კათედრის ასისტენტი, დოცენტ, პროფესორი. 1937-1948 წწ. ი. ტატიშვილი განაგებდა პათოლოგიური ანატომიის კათედრას თბილისის სახელმწიფო სტომატოლოგიურ ინსტიტუტში. 1953-1958 წწ. ი. ტატიშვილი იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, ხოლო 1959-61 წწ. _ პრორექტორი სასწავლო მიმართულებით. სხვადასხვა დროს იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი და პრეზიდიუმის წევრი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, მედიცინის რედაქციის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს პათოლოგოანატომთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე.

ირაკლი ტატიშვილის ძირითადი მეცნიერული კვლევები მიეძღვნა გულ-სისხლმილთა და ენდოკრინული სისტემის ავადმყოფობებისა და აქტინომიკოზის პათოლოგიური ანატომიის შესწავლას. მას ფუნდამენტური შრომები აქვს საქართველოს მედიცინის ისტორიის და სხვა საკითხებზე.

1973-1995 წწ. პათოლოგიური ანატომიის კათედრას ხელმძღვანელობდა ვლ. ჟღენტისა და ი. ტატიშვილის გამორჩეული მოწაფე, აკადემიკოსი თამარ დეკანოსიძე.

თამარ დეკანოსიძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. იგი იყო ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს 1990 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი, საპატიო თბილისელი, ღირსების ორდენის ორგზის კავალერი, ქართული სამედიცინო აზროვნების გამორჩეული ფიგურა, საქართველოში სამედიცინო კადრების აღზრდის ამაგდარი. თამარ დეკანოსიძემ 1943 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, რის შემდეგაც მან დაიწყო საქმიანობა პათოლოგიური ანატომიის კათედრაზე; იგი იყო კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი. 1969-1973წწ. თ. დეკანოსიძე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრის გამგე, 1973 წლიდან 1995 წლამდე ის იყო პათოლოგიური ანტომიის კათედრის გამგე, ხოლო 1995 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (2008 წ.) იყო ამავე კათედრის პროფესორი.

მის კალამს ეკუთვნის 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეხება ნერვულ-ქსოვილოვან ურთიერთობებს ნორმალური და პათოლოგიური ზრდის პირობებში, გეროგენული ცვლილებების მორფოლოგიურ საფუძვლებს, სამედიცინო-ბიოლოგიური პროცესების შეფასების აუცილებლობას სინერგეტიკის პოზიციებიდან (მოლეკულური ბიოლოგია, ბიოფიზიკა). გამოქვეყნებული აქვს 65 მონოგრაფია, მათ შორის "შეგუების და კომპენსაციური პროცესების მორფო-ფუნქციური საფუძვლები", რომელშიც მიენიჭა ივ. თარხნიშვილის სახელობის პრემია. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 187 საკანდიდატო და 72 სადოქტორო დისერტაცია.

1995-2005 წლებში პათოლოგიური ანატომიის კათედრას ხელმძღვანელობდა სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ომარ ხარძეიშვილი, 2005-2006 წლებში - პროფესორი გიორგი ბურკაძე, 2006 წლიდან კი - პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის და პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის მიმართულების ხელმძღვანელია - პროფესორი რამაზ ჩიხლაძე.

2009 წელს ჩამოყალიბდა პათოლოგიური ანატომიისა და ციტოპათოლოგიის დეპარტამენტი, რომელიც ორ მიმართულებას - პათოლოგიურ ანატომიას (ხელმძღვანელი პროფ. რამაზ ჩიხლაძე) და ციტოპათოლოგიას (ხელმძღვანელი პროფ. რიმა ბერიაშვილი) აერთიანებდა. 2017 წელს კი შეიქმნა მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტი (ხელმძღვანელი პროფ. გიორგი ბურკაძე).

ამჟამად პათოლოგიური ანატომიის სწავლება ინტეგრირებული სასწავლო კურსის სახით მიმდინარეობს.

სამეცნიერო კვლევის ახალი მიმართულებებია ავადმყოფობათა და პათოლოგიურ პროცესთა დიაგნოსტიკური იმუნომორფოლოგიური და გენეტიკური მარკერები, დაავადებათა პათომორფოლოგიური მექანიზმების გადახედვა მოლეკულური ბიოლოგიის პოზიციიდან.